# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-54

22/01/2019 ქ. თბილისი

**შპს "ქსენიიას" ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და „ყვავილების" ღრუბლის დამზადების საწარმოს (შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს შპს „ქსენიიას" ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და „ყვავილების" ღრუბლის დამზადების საწარმოს (შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება) ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #61; 15.12.2018 წ. (ქ. ხაშური, ბექაურის ქუჩა);
2. შპს "ქსენიია" ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #61; 15.12.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქსენიიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქსენიიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი